

**Nugesha Gagnidze**  
*Georgia, Kutaisi*  
*Akaki Tsereteli State University*

## **Art and Love in the Time of an Epidemic: Thomas Mann's „Death in Venice“**

### **Summary**

Thomas Mann's novella "Death in Venice" tells about the love passion of Gustav von Aschenbach, a famous author, widowed and in his early 50s, against the background of the 1911 cholera epidemic in Venice. His strange love passion for Tadzio, a Polish boy from an aristocratic family, leads him to total spiritual and physical destruction. Intertextually rich, complex and polymorphous, the novella can be read as a skillfully woven web of allusions from antiquity forward. The protagonist is portrayed as Thomas Mann's alter ego; in this sense, the novella can be also read as a portrait of the artist in "the infected city".

**Key words:** epidemic, decadence, artist's novella

### **ნუგეშა გაგნიძე**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ხელოვნება და სიყვარული ეპიდემიის ჟამს (თომას მანის ნოველის „სიკვდილი ვენეციაში“ მიხედვით)**

კაცობრიობის ისტორიამ მრავალი ეპიდემია და პანდემია იცის, რომელთაც უამრავი უბედურება მოუტანა სამყაროს. მათ შესახებ ინფორმაციებს ვპოულობთ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში, არქეოლოგიურ მასალებსა და ეთნოლოგების ჩანაწერებში. ფერწეული ტილოები, საეკლესიო მხატვრობა და კინემატოგრაფი ვრცლად მოგვითხრობს ამა თუ იმ ეპოქის ტრაგედიათა შესახებ, რომლის დროსაც ადამიანი ეგზისტენციისთვის იბრძოდა, თავდაუზოგავად შრომობდა და შედეგებსაც ქმნი-

და. ერთ-ერთი ასეთი საყურადღებო ნაწარმოებია თომას მანის ნოველა „სიკვდილი ვენეციაში“, რომელიც 1911 წელს ვენეციაში გავრცელებული ქოლერის ეპიდემიაზე და 50 წელს გადაცილებული კარგა ხნის დაქვრივებული ცნობილი მწერლის გუსტავ ფონ აშენბახის ვნებებზე მოგვითხრობს. მისი უცნაური სიყვარულის ამბავი პოლონელი არისტოკრატიული ოჯახის ვაჟ ტამიოსადმი ვენეციაში დასასვენებლად წასული მწერლის სულერი და ფიზიკური განადგურების მიზეზია.

ქოლერას, ბაქტერიულ დაავადებას, რომელიც ვრცელდება დაზინძურებული წყლით, მრავალი სასიკვდილო აფეთქება ჰქონდა კაცობრიობის ისტორიაში. ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იყო მეექვსე ეპიდემია, რომელიც 1910-1911 წლებში წარმოიშვა ინდოეთში, სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში და 800 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აღნიშნული ეპიდემიის შესახებ მასალები არცთუ ბევრია. ამდენად, თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“, კიოჯაში (ქალაქი იტალიის ვენეციის ოლქში), სან დომენიკოს ეკლესიაში, დაცულ მასალებთან ერთად, ანგარიშგასაწევ წყაროს წარმოადგენს ისტორიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეებისთვის. ამავდროულად ეს ავტობიოგრაფიული მრავალპლანიანი და მრავალსპექტიანი ნოველა თომას მანის პირად-ინტიმური განწყობილებების გამომხატველია და მისი შემოქმედების ცენტრალური თემის – ცხოვრება-ხელოვნების ანტითეზა – არაჩვეულებრივ მხატვრულ განსხეულებას წარმოადგენს. მასში მკითხველი ნათლად გრძნობს ნიცშეს აპოლონურისა და დიონისურის იმპულსებსა და ფროიდისეული გაუნობიერებლის ფსიქოლოგიის ზოგიერთი მოსაზრების მხატვრულ ხორცშესხმას. თომას მანი თითქოს წვდება გუსტავ აშენბახის ქვეცნობიერს, რომელიც, ასევე, მისი ალტერ ეგოა, და ქმნის ხელოვანის ორიგინალურ პორტრეტს „სნეულ ქალაქში“.

საინტერესოა ნაწარმოების შექმნის ისტორია. თომას მანი მას 1911 წლის ივლისიდან 1912 წლის ივლისამდე წერდა. თავდაპირველად „სიკვდილი ვენეციაში“ 1912 წელს გამოქვეყნდა ავტორის ხელმოწერითა და 100 დანომრილი ეგზემპლარის სახით. ამავე წელს იგი დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალში *Die neue Rundschau*. ხოლო ზ. ფიშერის გამომცემლობამ ნოველას

დიდი რეზონანსი შესძინა, როცა ის ცალკე წიგნად გამოსცა 1913 წელს.

„სიკვდილი ვენეციაში“ *Künstlernovelle*-ს (ხელოვანის ნოველის) ჟანრს განეკუთვნება. თავად თომას მანმა მას „დეგრადაციის ტრაგედია“ უწოდა. იგი მოგვითხრობს ფიქტიური პერსონაჟის გუსტავ ფონ აშენზახის ცხოვრებიდან ერთ, სიცოცხლის უკანასკნელ ეპიზოდს: ცნობილი მწერალი საზაფხულო შევებულების გასატარებლად ვენეციაში მიემგზავრება, სადაც სანაპიროზე თვალყურს ადევნებს მშვენიერ 13 ან 14 წლის ბიჭუნას, რომელიც დედასთან, დებთან და გუვერნანტთან ერთად იმავე სასტუმროში („Grand Hotel des Bains“) ცხოვრობს, რომელშიც აშენზახია დაბინავებული. შუახნის მამაკაცი მოხიბლულია ჭაბუკის მშვენიერებით, თუმცა თავდაჭერილია და მაქსიმალურად მალავს მისადმი საკუთარ გრძნობებს.

ცნობილია, რომ თომას მანის ნოველა ხელოვანისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების პრობლემით, სიკვდილის, მითოლოგიური და დეკადანსის მოტივებით კლასიციზტური ტრაგედიის ნიშან-თვისებებსაც შეიცავს. ნაწარმოები კლასიკური დრამის მსგავსად, ხუთი მოქმედების ანალოგიურად, ხუთ თავადაა დაყოფილი. ჰორაციუსისეულია ნაწარმოების სტრუქტურა: ექსპოზიცია, აღმავალი მოქმედება ამაღელვებელი მომენტის თანხლებით, მოქმედების პიკი და პერიპეტია, დაღმავალი მოქმედება რეტარდაციით, კატასტროფა. ნაწარმოებში მოქმედებას გააჩნია მითოლოგიური სიღრმისეული პერსპექტივა; პროტაგონისტი ეწინააღმდეგება ფედროსს მშვენიერების აღქმა-გააზრების საკითხში; ბერძნული ტრაგედიის გუნდის მიერ პაროდირებული ქურჩის მუსიკოსები გვახსენებენ თეატრის წარმოშობას დიონისეს კულტით; ნოველას გააჩნია ანტიკური ტრაგედიისთვის დამახასიათებელი რითმი, რაც დროდადრო (განსაკუთრებით მეოთხე თავში) იჩენს თავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. 1911 წლის 26 მაისიდან 2 ივნისამდე იმყოფებოდა მწერალი მეუღლესთან (კატია მანი) და ძმასთან (ჰაინრიხ მანთან) ერთად ვენეციაში. სწორედ მაშინ მოიხიბლა იგი პოლონელი ყმაწვილით. შესაძლოა, მისი პროტო-

ტიპი პოლონელი ბარონი ვლადისლავ მოესია (1900–1986). ამ უკანასკნელმა ეს ვარაუდი თავად დაადასტურა 1965 წელს ჟურნალში *Twen* (მიუნხენი). უკვე ასაკოვანი ბარონი ხაზს უსვამდა საკუთარ წარმომავლობასა და ბავშვობის მეტსახელს აპიო. თუმცა, მეცნიერთა ერთი ნაწილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას (ჰაგე 2002: 152).

როცა ავტობიოგრაფიულ მომენტებზე ვლაპარაკობთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ თომას მანის თავდაპირველი განზრახვა – დაეწერა ნოველა გოეთეს ცხოვრების იმ მონაკვეთთან დაკავშირებით, როცა 70 წელს გადაცილებულ მწერალს თავდავიწყებით შეუყვარდა 18 წლის ულრიკე ფონ ლევეცოვი და მისი ცოლად შერთვა მოინდომა, რაც წარუმატებლად დასრულდა. სათაურიც ჰქონია ავტორს ნოველისთვის მოფიქრებული: „გოეთე მარიენბადში“.

არსებითი მიშვნელობის მქონეა, ასევე გუსტავ მალერისა და თომას მანის შეხვედრის ისტორია, როცა კომპოზიტორმა მწერალს თავისი ვნებებისა და გატაცებების შესახებ უამბო. ვენეციაში დასასვენებლად მყოფმა თომას მანმა გაზეთებიდან შეიტყო გუსტავ მალერის გარდაცვალების ამბავი. სწორედ მისი ფოტო გახდა ერთ-ერთი ინსპირაცია გუსტავ ამენბახის მხატვრული სახისთვის. სახელიც კი არ შეუცვალა მწერალმა პროტაგონისტს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გუსტავ ფონ ამენბახი ნოველის მეორე თავში ლაპარაკობს ნაწარმოებებზე, რომლებიც იდენტურია თომას მანის იმ ნაწარმოებებისა, რომელთა დაწერაც მომავალში გეგმავდა. ამავდროულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი სათაურები ცოტათი შეცვლილია.

1911 წელს დაწერილ ესეში, „შამისო“ თომას მანი ერთ ძალზე ანგარიშგასაწევ მოსაზრებას გვთავაზობს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ავტორისა და პროტაგონისტის იდენტურობა: „ძველი, კარგი ამბავია: ვერთერმა თავი მოიკლა, მაგრამ გოეთე გადარჩა“ (მანი 1955: 45). გუსტავ ფონ ამენბახიც დაილუპა, მაგრამ გადარჩა თომას მანი. აკრძალული და საზოგადოებისთვის მიუღებელი სიყვარული (გოეთესთან დანიშნული ქალისადმი, ხოლო თომას მანთან 50 წელს გადაცილებული მამაკაცის სიყვარული ყმაწვილისადმი) ორივე შემთხვევაში ტრაგიკულად მთავრდება. ამ

საკითხზე მსჯელობისას ეპოქაც გასათვალისწინებელია. გოეთეს რომანში აღწერილი ვერთერის ვნებანი – მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედში დანიშნული ქალისადმი ტრფობის ამბავი – სულაც აღარ არის გასაოცარი მეოცე საუკუნის მეორე ათწლეულში, როცა თომას მანმა „სიკვდილი ვენეციაში“ დაწერა. გუსტავ ფონ აშენბახის ლტოლვა კი პოლონელი ყმაწვილისადმი დღემდე ათასგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს მკითხველსა და მკვლევრებს. თავად თომას მანი თავის ვენეციურ ნოველას 1930 წელს შექმნილ ნაშრომში „Lebensabriß“ („მოკლე ნარკვევი ჩემი ცხოვრების შესახებ“) უწოდებს „უცნაურ თვითდამსჯელ წიგნს“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ თავად მწერლისთვისაც არ იყო მისაღები მისი უცნაური ვნებები, არათუ საზოგადოებისთვის.

მოქმედება რომ ვენეციაში ვითარდება, ეს მხოლოდ ავტობიოგრაფიული მომენტი არ შეიძლება ავხსნათ. სწორედ ეს ქალაქი ეპიდემიის ჟამს შეესაბამება ავტორისა და მისი პროტაგონისტის დეკადენტურ განწყობილებებს. იგი სხვადასხვა სიმბოლოს იყენებს, როცა გუსტავ ფონ აშენბახის სულიერ და ფიზიკურ კვდომას აღწერს. ცხადია, ვენეცია რომანტიკული ილუზიების ქალაქია, მაგრამ, ამავედროულად, დეკადენტურიც, რომელშიც ხელოვანის დაცემაც ასოცირდება. ქალაქი, რომელმაც არა ერთი ეპიდემია და პანდემია გადაიტანა. საყურადღებოა ნოველაში ის ეპიზოდები, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ვრცელდება ქოლერას ეპიდემია წყლის არხებიდან.

ნოველის მეხუთე ნაწილში ნაჩვენებია გუსტავ ფონ აშენბახის სულიერი და ფიზიკური განადგურება, რაც ეპიდემიის ფონზე ვითარდება. ლიდოზე ყოფნის მეოთხე კვირას მან ვენეციაში რაღაც ცვლილებები შენიშნა. შუა სეზონის დროს დამსვენებელთა რაოდენობამ იკლო. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში უკვე წარმოუდგენლად მყრალი, საბედისწერო სუნი იდგა და ქუჩის კუთხეებში გამაფრთხილებელი ნაბეჭდი გაფრთხილებები გაეკრათ კუჭ–ნაწლავის ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებით, ზუსტი ინფორმაცია ცნობილი არ იყო, ადგილობრივი გაზეთები ჭორებს ავრცელებდნენ ვირუსის შესახებ. გუსტავ ფონ აშენბახის „გულს კმაყოფილებით ავსებდა მოსალოდნელი საფრთხე, რაც

აქაურობას ემუქრებოდა. ვნება ხომ დანაშაულის მსგავსად, განსაზღვრულ წესრიგსა და ყოველდღიურობის მშვიდ მდინარებას ვერ ეგუება; საზოგადოებაში დადგენილი წესრიგის განადგურება და კანონებისგან გადახრა ახარებს, რადგან მასში იმედოვნებს რაიმე სარგებლის ნახვას. აშენბახიც, უჩვეულო, ფარულ და ბნელით მოცულ კმაყოფილებას განიცდიდა, როცა გრძნობდა, რომ ქალაქის მმართველობა ვენეციის ჭუჭყიანი ქუჩების მდგომარეობას საგანგებოდ ჩქმალავდა. ეს საზარელი საიდუმლო საკუთარს შედუღაბებოდა, რის დაფარვასაც ასეთი მონდომებით ცდილობდა. შეყვარებულს სხვა ადარაფერი ადარდებდა გარდა იმისა, რომ ტამიო შეიძლება გამგზავრებულიყო. შეძრწუნებულს ვერაფრით წარმოედგინა, როგორ გააგრძელებდა ცხოვრებას მის გარეშე“ (მანი 2015: 156). ვფიქრობთ, ამ ფრაგმენტში დევს ნაწარმოების იდეა. ვნება, აკრძალული სიყვარული ისეთივე სახიფათოა, როგორც ეპიდემია, რომელსაც მალავენ. არცერთი მათგანი არ იკურნება. ეს დაფარული სიყვარული კი ისევე ამსხვრევს ადმიანს, როგორც ვერაგი დაავადება, რომლის გამოც უამრავი ადამიანი საშინელი სიკვდილით იღუპება. აშენბახისთვის, ამ ძნელბედობის ჟამს, ქოლერაზე უფრო მძიმე შეყვარებულის დაკარგვაა. არადა სასიკვდილო სენი მძვინვარებდა, „გაზეთებში მტკიცება და უარყოფა ერთმანეთს ენაცვლებოდა. დაავადებულთა რაოდენობა და სასიკვდილო შემთხვევები ხან ოცს, ხან ორმოცს, ხან ასს და უფრო მეტსაც აღწევდა. ინფექციის არსებობას უარყოფდნენ და რამდენიმე, გარედან შემოტანილ შემთხვევაზე საუბრობდნენ. აქა-იქ ოფიციალური დაწესებულებების სახიფათო თამაშის წინააღმდეგ მიმართულ დამაფიქრებელ თვალსაზრისსა და პროტესტსაც შეხვდებოდით. ერთი სიტყვით, სიმართლის გაგება შეუძლებელი იყო“ (მანი 2015: 156). თომას მანის მიერ აღწერილი სიტუაცია 1911 წლის ქოლერის გავრცელებასთან დაკავშირებით ვენეციაში ძალზე ჰგავს 21-ე საუკუნის უდიდეს პანდემიას. ცხადია, კორონავირუსის გავრცელების მასშტაბები 2019-2021 წლებში ბევრად უფრო დიდია, მაგრამ შიში, რომელმაც პლანეტა მოიცვა, გაურკვეველი მდგომარეობა, გარდაცვალებულთა და დაავადებულთა სტატისტიკა სულის შემძვრელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

თომას მანი ნოველაში „სიკვდილი ვენეციაში“ აზიური ქოლერის გავრცელების შესახებაც საინტერესოდ მოგვითხრობს. ნაწარმოებში ბევრია ფიქცია, მაგრამ, ამ შემთხვევაში მწერალი ფაქტებზე დაყრდნობით წერს თუ როგორ ჩაისახა განგის დელტის თბილ ქაობებში სასიკვდილო სენი. შემდგომში იგი ინდოეთიდან ჩინეთში, ავღანეთსა და ირანში გავრცელებულა. „ქარავანთა მთავარი გზებით, მთელი თავისი საშინელებით ასტრახანამდე გაიშალა, მეტიც, თვით მოსკოვამდე მივიდა. ევროპა კანკალებდა და შიშობდა, რომ იქიდან სიკვდილის აჩრდილი თავის გზას ხმელეთით გაავრცელებდა, მაგრამ სირიელმა ვაჭრებმა სნეულება ოკეანიდან შემოიტანეს. „ამ სენმა თავი წამოყო ხმელთაშუა ზღვისპირა ნავსადგურებშიც, ტულონსა და მალაგაში“ (მანი 2015: 170). თომას მანის ინფორმაციით, ეპიდემიამ თავისი საშინელი სახე მალე გამოაჩინა პალერმოში, ნეაპოლში, კალაბრიასა და აპულიოში. 1911 წლის მაისში „ვენეციაშიც აღმოჩნდა საშიში ვიბრიონები, პორტის მუშისა და მწვანის გამყიდველის გამომშრალ, გაშავებულ გვამებში“ (მანი 2015: 170). გასაოცარი ის იყო, რომ, მიუხედავად ათეულობით შემთხვევისა, მაშინდელი საინფორმაციო საშუალებები დუმდა. ინფორმაციამ გერმანულ გაზეთებში მხოლოდ მაშინ გაჟონა, როცა ერთ-ერთი ავსტრიული პროვინციის მკვიდრი, ვენეციაში გასართობად ჩასული, უკან დაბრუნების შემდეგ, მშობლიურ ქალაქში საექვო სიმპტომებით გარდაიცვალა. მალე ვირუსი სასურსათო პროდუქტებშიც გავრცელდა და „ფარულმა ინფექციამ, რომლის დამალვასაც ცდილობდნენ, ადამიანთა მოცელვა ვენეციის ქუჩებშიც დაიწყო. ნაადრევი სიცხისგან ზომიერად მეტად გამთბარმა არხის წყალმა ხელი შეუწყო ინფექციის გავრცელებას. თითქოს ახალ ენერგიას იკრებსო, ისე გაიზარდა ბაქტერიების ძალა და გამძლეობა. გამოჯანმრთელების შემთხვევები იშვიათი გახდა, ასი ინფიცირებულისაგან ოთხმოცი იღუპებოდა და თანაც საშინელი სიკვდილით, რადგან დაავადება სასტიკი იყო და ის უმძიმესი ფორმა მიეღო, რომელსაც „მშრალი“ ჰქვია. სნეული წყლისგან იცლება, სისხლმარღვები დიდი რაოდენობით სითხეს კარგავს, რამდენიმე საათში ავადმყოფს ბლანტი ბლანტი, შედედებული სისხლი ახრჩობს და საშინელი კრუნჩხვითა და ტკივილით იღუპება. უკეთეს შემთხვევაში, შეტევა სუსტი სპაზმის შემდეგ იწყებოდა

და მოგვიანებით ღრმა გულისყრას იწვევდა, რომლისგანაც ავად-მყოფი ვეღარ ფხიზლდებოდა. ივნისის დასაწყისში უკვე ჩუმად შეივსო სამოქალაქო ჰოსპიტალი და ობოლთა თავშესაფარი. ახალი სანაპიროსა და კუნძულ მიქაელის სასაფლაოს შორის კი საზარელი, განუწყვეტელი მომოსვლა დაიწყო“ (მანი 2015: 170-171). მაგრამ მაშინდელი მედია და სახელმწიფოს მეთაურნი ჯი-უტად დუმდნენ, ზუსტ ინფორმაციას კომერციული მიზეზების გამო არ ავრცელებდნენ. ემინოდათ მოსალოდნელი ზარალისა და გაკოტრების. იცოდნენ, პანიკის შემთხვევაში, რა ელოდა სას-ტუმროებს, მაღაზიებსა და ტურისტულ დაწესებულებებს. როგორც თომას მანი სრულიად მართებულად მიუთითებს, შიში „უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სიმართლის სიყვარული და საერთაშორისო ხელშეკრულებათა პატიოსანი დაცვა. ამ შიშმა აიძულა ქალაქის მმართველობა გასაიდუმლოებისა და უარყოფის პოლიტიკა ეწარმოებინა“ (მანი 2015: 171). საქმე იქამდე მივიდა, რომ ვენეციის სანიტარული სამსახურის უფროსმა, კეთილშობილ-მა და ღვაწლმოსილმა მუშაკმა თანამდებობა დატოვა, ხოლო მისი ადგილი მორჩილმა მოხელემ დაიკავა. „ქალაქის ხელმძღვანელო-ბის კორუფციულობამ, საერთო დაბნეულობამ და იმ განსაკუთ-რებულმა მდგომარეობამ, რომელიც ქუჩაში მოსიარულე სიკვ-დილმა გამოიწვია, დაბალი ფენებიც მორალურ დეგრადაციამდე მიიყვანა“ (მანი 2015: 171).

როგორც ვხედავთ, ვენეციაში გავრცელებული ქოლერის ეპი-ზოდს დაწვრილებითა და საინტერესოდ მოგვითხრობს თომას მანი. მის მახვილ თვალს არცერთ წვრილმანი დეტალი არ ეპა-რება. გვიამბობს, თუ როგორ იჩინა თავი ეპიდემიის პერიოდში ანტისოციალურმა ტენდენციებმა, თავაშვებულობამ და კანონის მომეტებულად დარღვევამ. სახიფათო იყო ქუჩაში ღამით გასვლა ბოროტმოქმედების შემთხვევათა და თავდასხმებისა გამო. გან-ზრახ მკვლელობის საქმეებს ავადმყოფობის ისტორიით ფუ-თავდნენ. პროფესიულმა გარყვნილებამ, რომელიც უცხო ყოფი-ლა ვენეციისთვის, ამ ძნელბედობის ჟამს ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

აღნიშნულ ინფორმაციებს აშენბახი ინგლისელი კლერკისგან ვლობს. მანვე ურჩია მწერალს ვენეციის დატოვება, სადაც მალე



კარანტინი უნდა დაწყებულიყო. მაგრამ უცნაური სიყვარულის სენით შეპყრობილი მწერალი სულაც არ ფიქრობს სნეული ქალაქის დატოვებას. მისთვის აღარაა არსებითი, უფრო მეტიც, მიუღებელია, სამშობლოზე, კეთილგონიერებაზე, გამოფხიზლებაზე, ოსტატობასა და შრომაზე ფიქრი. გონებაარეული ინფორმაციასაც არ ავრცელებს, დუმს. აშენბახს სრულიად გაცნობიერებული აქვს საკუთარი „დეგრადაციის ტრაგედია“. ფედროსთან დისკუსიაში ის ცდილობს თავისი მდგომარეობის ახსნას: „დარწმუნებული იყავი, რომ ჩვენ, პოეტებს, მშვენიერების გზაზე ეროსის გარეშე სიარული არ ძალგვიძს. გმირებიც და გაწვრთნილი მეომრებიც რომ ვიყოთ, მაინც ქალებს დავემსგავსებით, რადგან ჩვენი ხსნა ვნებაა და ჩვენი კაემანი – სიყვარული, ეს ჩვენი ბედნიერება და სირცხვილია ერთდროულად. ხომ მიხვდი, რომ ჩვენ პოეტები, არც ბრძენნი ვართ და არც ღირსეულნი? რომ ცოდვაში გვაქვს ფეხი ჩადგმული და გრძნობას აყოლილი ავანტიურისტები გახლავართ. ჩვენი სტილის დახვეწილობა და სიცრუე თვალთმაქცობაა, ხოლო ჩვენი სახელი და დიდება – პოზა! (მანი 2015: 180-181). ვფიქრობთ, ამ სიტყვებით ყველაფერი თქვა თომას მანმა, თავად შეაფასა საკუთარ ქვეცნობიერში არსებული ის უხილავი და სახიფათო იმპულსი, რომელიც ხელოვანს აკრძალული გზით ატარებს. ამავდროულად, გროტესკი და სარკაზმი დიდი ხარისხითაა ნაწარმოებში, რაც თომას მანის სხვა ნაწარმოებებისთვისაცაა დამახასიათებელი. ცხადია, ამ მხატვრულ მეთოდს იმიტომ ირჩევს მწერალი, რომ თავად გათავისუფლდეს, თავი გადაირჩინოს. რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ეს მცელობები, ცხადყოფს მისი ცხოვრება და შემოქმედება.

გუსტავ ფონ აშენბახი შესანიშნავად აცნობიერებს საკუთარი სნეულების არსს, რომელიც ისევე მძვინვარებს მის სულში, როგორც ქოლერა რომანტიკულ ვენეციაში. მასაც ესტუმრა სასტიკი ვირუსი. ცდილობს დაძლიოს ფიზიკური ტკივილები და უმწეობის განცდა, რომლის მიზეზი ზუსტად არ იცის მის სულშია თუ გარესამყაროდან. ჭკნობისა და დრომოჭმულობის ელფერი დაჰკრავდა ერთ დროს სიცოცხლით სავსე ვენეციას, როცა გაიგო, რომ სასტუმროდან პოლონელი არისტოკრატები მიემგზავრებოდნენ. შთამბეჭდავია რომანში ბოლო სცენა, როცა ქოლერით და-

ავადებული გუსტავ ფონ აშენბახი ტაძიოს უცქერს. პირადი ტრაგედითა და სასიკვდილო სენით სრულიად დაუძღურებულ აშენბახს ეჩვენება როგორ უღიმის შორიდან ფერმკრთალი და მომხიბლავი ფსიქაგოგი – ტაძიოს ალუზია. წუთებმა გაირბინა და შეძრწუნებულმა მსოფლიომ შეიტყო ცნობილი მწერლის მოულოდნელი სიკვდილის ამბავი (მანი 2015: 184).

ამდენად, ხელოვნებასა და სიყვარულს მრავალი ასპექტი გააჩნია თომას მანის ნოველაში „სიკვდილი ვენეციაში“. ერთი მხრივ, იგი უჩვენებს ავტორის, როგორც დიდი ხელოვანის განსაკუთრებულ შესაძლებლობებსა და პირად-ინტიმურ განწყობილებებს ქოლერას ეპიდემიით გამოწვეული უდიდესი ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების კონტექსტში. მეორე მხრივ, თომას მანის კლასიციკლური ტრაგედიის ფორმით აგებული *Künstler-novelle* (ხელოვანის ნოველა) მითოლოგიური და დეკადანსის მოტივებით აღიქმება როგორც ხელოვნების ნიმუში, რომელშიც არსებითია „თავაშვებულობისთვის გაჩენილი“ პოეტის ტრაგედია.

#### **დამოწმებანი:**

**კაკაბაძე 1980:** კაკაბაძე ნ. „თომას მანი“. წიგნში: *ნარკვევები XX საუკუნის გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან*. თბილისი: 1980.

**მანი 1930:** Mann Th. „Lebensabriß“. In: *Die Neue Rundschau*, 6. Heft Juni 1930, 41. Jg., S. 732-769.

**მანი 1955:** Mann Th. „Chamisso“, In: *Gesammelte Werke*, zehnter Band. Aufbau-Verlag Berlin: 1955.

**მანი 2007:** Mann Th. „Der Tod in Venedig (Sonderausgabe)“. S. Fischer: Frankfurt am Main, 2007.

**მანი 2015:** მანი თ. „სიკვდილი ვენეციაში“. გერმანულიდან თარგმნა თამარ ჯანელიძემ. წიგნში: თომას მანი. *მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2015.

**ჯინორია 1966:** ჯინორია ო. „თომას მანი. 1875-1955“. წიგნში: თომას მანი, *მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ჰაგე 2002:** Hage V. „Tadzios schönes Geheimnis“. In: *Der Spiegel*. Nr. 52, 2002 (online – 21. Dezember 2002).